ვლადიმერ პაპავა

რა ვუყოთ სიღარიბეს?

სიღარიბე თანამედროვეობის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა. არ არსებობს ქვეყანა, სადაც სიღარიბე არ იყოს. თვით აშშ-შიც კი სიღარიბის ზღვარს (აშშ-ში ღარიბად ითვლება საშუალო ოთხსულიანი ოჯახი, რომლის წლიური შემოსავალიც 20 ათას დოლარს არ აღემატება) მიღმა მოსახლეობის 12 პროცენტი ცხოვრობს. საერთაშორისო სტანდარტებით მსოფლიოს ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებში ღარიბად ითვლება ადამიანი, რომელსაც დღეში შეუძლია მოიხმაროს არაუმეტეს 2 აშშ დოლარი, ხოლო ღატაკად კი – არაუმეტეს 1 აშშ დოლარი.

მაგრამ სიღარიბეზე მსჯელობა ციფრების გარეშე უბრალოდ შეუძლებელია. აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ყველა ქვეყანას ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინებით სიღარიბის დონის შეფასების განსხვავებული კრიტერიუმი აქვს.

საქართველოში პრობლემის აქტუალიზაცია 2001-2002 წლებში დაიწყო. 2003 წლის ზაფხულში ქვეყნის პრეზიდენტმა კიდეც დაამტკიცა "ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა", რომლის განხორციელების თავი იმ დროის მთავრობას, სამწუხაროდ, არ ჰქონდა, ხოლო ვარდების რევოლუციით ხელისუფლებაში მოსულმა მთავრობამ "შევარდნაძის ეპოქის" პროგრამა ყურადღების ღირსადაც კი არ ჩააგდო. ასეა თუ ისე, იმ დროისათვის დადგინდა, რომ საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 52, ხოლო სიღატაკის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 25 პროცენტი ცხოვრობდა.

პოსტრევოლუციური მთავრობის მიერ სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი "ქმედითი" ხერხი სიღარიბის ზღვრის მეთოდიკის შეცვლა აღმოჩნდა: შეამცირეს "საარსებო კალათაში" გასათვალისწინებელი პროდუქტების კალორიულობა, ხოლო საცალო ფასების ნაცვლად აიღეს საბითუმო, და დიდი ზარ-ზეიმით გვაუწყეს, რომ 2004 წელს სიღარიბის ზღვარმა 35 პროცენტამდე დაიწიაო. საინტერესოა, რომ ამ ახალი მეთოდიკით ჩატარებულმა გათვლებმა 2005 წელს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის 39 პროცენტი დააფიქსირა, რაც მთავრობისათვის არა მარტო მოულოდნელი, არამედ მიუღებელიც აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ 2006 წლის მონაცემები საერთოდ არ გამოაქვეყნეს, თუმცა როგორც "ბოროტი ხმები" იძახიან სიღარიბის ზღვარი კიდევ უფრო გაეზარდათ და 42 პროცენტი შეადგინაო...

უმაღლეს დონეზე კი ორიოდე თვის წინ გაიჟღერა სულ ახალმა მაჩვენებელმა; კერძოდ, ითქვა, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა ჩვენი მოსახლეობის 28 პროცენტიაო. საიდან იქნა მოტანილი ეს ციფრი კი, როგორც იტყვიან, "ეშმაკმა უწყის"...

ჩვენს ხელისუფლებას საერთაშორისო სავალუტო ფონდი არათუ არ ჩამორჩა, არამედ აჯობა კიდეც, როცა 2007 წლის შემოდგომაზე ხმამაღლა განაცხადა, რომ საქართველოში სიღარიბის დაძლევის პროგრამა წარმატებით დასრულდაო... ასე, რომ პროგრამა კი დასრულდა (თანაც წარმატებით), მაგარამ სიღარიბე მაინც დაგვრჩა!

ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩვენი ეკონომიკის უმთავრესი სნეულებანი – საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისები რომ დაძლეულ იქნა, ხოლო გზების მშენებლობას ფართო გასაქანი მიეცა, ეს, რა თქმა უნდა, არა მარტო ზოგადადაა წინ გადადგმული ნაბიჯი, არამედ აუცილებელია ეკონომიკის განვითარებისათვის, რაც საბოლოო ჯამში სიღარიბის შემცირებასაც შეუწყობს ხელს.

საპრეზიდენტო არჩევნების მარათონში კანდიდატების უდიდესი ნაწილი ერთმანეთს იმაში ეჯიბრება, თუ ვინ უფრო მეტს დაპირდება შეჭირვებულ მოსახლეობას სხვადასხვა სახეობის სოციალური დახმარებებს. თუ კი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 2008 წელს საპარლამენტო არჩევნებიც გველის და იმ დროისათვის უკვე არჩეული პრეზიდენტი თავისი პარტიის პარლამენტში უმრავლესობით გაყვანის მიზნით წინასაარჩევნო პერიოდში სოციალურ დახმარებათა მორიგ გაზრდას განახორციელებს, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ქართული ლარის მსყიდველობითი უნარი უახლოეს მომავალში კიდევ უფრო შემცირდება.

და ბოლოს, აუცილებელია პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რამდენადაა შესაძლებელი სიღარიბის აღმოფხვრა. ეს პრობლემა უშუალოდ უკავშირდება სიღარიბის ზღვრის განსაზღვრის კრიტერიუმს. რა თქმა უნდა, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში სიღარიბის ამა თუ იმ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმის მიხედვით ამ ზღვრის ნულამდე დაყვანა შესაძლებელია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეკონომიკური განვითარების კვალობაზე დღის წესრიგში დგება თავად ამ კრიტერიუმის გადასინჯვის აუცილებლობა, რადგანაც სიღარიბე უწინარეს ყოვლისა ფარდობითი მოვლენაა და საზოგადოებაში ეკონომიკური სიმდიდრის ზრდის კვალობაზე ღარიბებად უკვე ის ადამიანები ჩაითვლებიან, ვინც წინა კრიტერიუმით სულაც არ იყო ასეთი. ამის საუკეთესო მაგალითად გამოდგება ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია აშშ-ის შესახებ: დღევანდელ საქართველოში ოთხსულიან ოჯახს წელიწადში 20 ათასი აშშ დოლარის შემოსავალი თუ აქვს ის გვარიანად მოლხენილიც კი არის, მაგრამ გავა დრო და ისევე როგორც დღევანდელ აშშ-ში ეს შემოსავალი უკვე სიღარიბის ზღვარი გახდება.

ასე, რომ სიღარიბის სრული აღმოფხვრა ისევეა შეუძლებელი, როგორც პერპეტუმობილის შექმნა, თუმცა ნეტარ არიან მორწმუნენი...